„ევროპული უსაფრთხოების ფუნდამენტური ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ოფიციალურად მოხდეს ბუქარესტის ნატოს 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილების უარყოფა, იმის შესახებ, რომ „უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატოს წევრები“, როგორც ეუთოს წევრი სახელმწიფოების ყველა ლიდერის ვალდებულებასთან წინააღმდეგობაში მყოფი - „არ გააძლიერონ თავისი უსაფრთხოება სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე“. მოვითხოვთ, იურიდიულად მოხდეს შეთანხმების დამოწმება ამერიკისა და ნატოს სხვა წევრების შეტევითი შეიარაღების სისტემების განუთავსებლობის შესახებ რუსეთის მეზობელ ქვეყნებში, რომლებიც საფრთხეს უქმნის რუსეთს. ასევე მოვითხოვთ ნატოს კონკრეტულ რეაქციას ჩვენ მიერ ადრე წამოწეულ წინადადებებზე ევროპაში დაძაბულობის შემცირების შესახებ. მათ შორის: ოპერატიული სწავლებების რაიონის გადაწევას რუსეთ-ნატოს საკონტაქტო ხაზიდან შეთანხმებულ მანძილზე; საბრძოლო ხომალდებისა და თვითმფრინავების ზღვრულ დისტანციაზე მიახლოებასთან დაკავშირებით შეთანხმებაზე საშიში სამხედრო მოქმედებების აღსაკვეთად, პირველ რიგში, ბალტიისა და შავი ზღვის რეგიონებში; რეგულარული დიალოგის განახლება თავდაცვით უწყებებს შორის რუსეთ-ამერიკის და რუსეთი-ნატოს ხაზით. მოვუწოდებთ ვაშინგტონს, შეუერთდეს რუსეთის ცალმხრივ მორატორიუმს ევროპაში მიწისზედა საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების განთავსების შესახებ, მოხდეს შეთანხმება და საჭირო ზომების შემოღება ორმხრივი ვალდებულებების შესრულების ვერიფიკაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულ მიმართულებებზე რუსეთი უახლოეს პერიოდში წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი დიკუმენტების პროექტებს მოლაპარაკებების დასაწყებად შესაბამის ფორმატებში. კერძოდ, შევიტანთ კომპლექსურ წინადადებებს უსაფრთხოების სამართლებრივი გარანტიების შესახებ სტრატეგიულ სტაბილურობაზე რუსეთ-ამერიკის დიალოგის მორიგი რაუნდის მომზადების ფარგლებში. გამოვალთ უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო ასპექტების საგნობრივი განხილვისთვის თავდაცვის სამინისტროების ხაზით, ასევე რუსეთისა და ნატოს ქვეყნების საგარეო პოლიტიკური უწყებების მონაწილეობით. აუცილებლად მივიჩნევთ, რომ ეუთოც არ დარჩეს ევროუსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის საკითხზე დისკუსიების მიღმა“, - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

„ფუნდამენტური პრინციპია, რომ ყველა ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს საკუთარი გზა“, — ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რითაც ის გამოეხმაურა რუსეთის მთავრობის მოთხოვნას, ალიანსმა გააუქმოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. „ჩვენი პოზიცია უცვლელია. ფუნდამენტური პრინციპია, რომ ყველა ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს საკუთარი გზა. ეს ასახულია მრავალ დოკუმენტსა და შეთანხმებაში, რომელთა ხელმომწერი რუსეთიც არის. მკაფიოდ ნათქვამია, რომ ყველა დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს საკუთარი კურსი, მათ შორის ის, თუ რა ტიპის უსაფრთხოების შეთანხმებებში სურს მონაწილეობა. ნატო-ს ურთიერთობები უკრაინასთან მხოლოდ ალიანსის 30 მოკავშირისა და უკრაინის გადასაწყვეტია და არავის სხვის მიერ. ჩვენთვის მიუღებელია, რომ რუსეთის ცდილობს აღადგინოს სისტემა, სადაც რუსეთის მსგავს დიდ სახელმწიფოებს აქვთ გავლენის სფეროები, სადაც მას შეუძლია გააკონტროლოს და გადაწყვიტოს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სხვა წევრებს“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას მიუღებლად მიიჩნევს. საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 10 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებას განცხადებით პასუხობს. „საგარეო საქმეთა სამინისტრო მიუღებლად მიიჩნევს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაცია “აუცილებლად მიიჩნევს ნატო-ს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატო-ს წევრები” გაუქმებას. 2008 წლის 3 აპრილს ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერებმა ბუქარესტის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო (და უკრაინა) გახდება ნატო-ს წევრი. ზემოაღნიშნული წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან, კონსენსუსის საფუძველზე მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება აირჩიოს საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი. ამასთან, ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლიდან, რომლის თანახმადაც ნატო-ს წევრი შეიძლება გახდეს ნებიესმიერი ევროპული ქვეყანა, რომელიც გაიზიარებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პრინციპებს და წვლილს შეიტანს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში. ნატო-ში გაწევრიანება წარმოადგენს საქართველოს სუვერენულ გადაწყვეტილებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ურყევ ნებაზე. აღნიშნული მიზანი ასახულია საქართველოს კონსტიტუციაშიც. აღსანიშნავია, რომ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება გამეორებულ იქნა 2008 წლის შემდგომ გამართულ ნატო-ს ყველა სამიტზე. 2021 წელს ბრიუსელში ნატო-ს სამიტზე მიღებული კომუნიკე კი ხაზს უსვამს, რომ მოკავშირეები დაუშვებლად მიიჩნევენ ქვეყნების საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრაში ნებისმიერი მესამე მხარის ჩარევას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიუღებელია მესამე მხარის მიერ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გადახედვასთან დაკავშირებით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის მთავარ გამოწვევას დღესდღეობით წარმოადგენს სწორედ რუსეთის ფედერაციის ქმედებები, რომელიც გამოიხატება მეზობელი, სუვერენული ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციასა და ანექსიაში, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების უგულებელყოფაში და მის მიერვე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში“, - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

# ივანე გომელაური-დედა ენის ქომაგი და მოამაგე

## ციკლიდან - დედოფლისწყაროს გამოჩენილი ადამიანები

*ორმოცდაექვსი წლის წინ 1975 წლის ოქტომბერში დედოფლისწყაროში (მაშინდელ წითელწყაროში) მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაიხსნა და იმ დღიდან დაიწყო ახალი ფურცელი ჩვენი რაიონის წარსულისა და აწმყოს შესახებ. იმ დღიდან მუზეუმის თანამშრომლები იღწვიან, მოიძიონ ისტორიული არტეფაქტები წარსულის გასაცოცხლებლად. წლების მანძილზე სოფელ-სოფელ, კარდაკარ, მინდორ-მინდორ სიარულის და დიდი შრომის შედეგია, რომ დღეს მუზეუმში 12 ათასამდე ნივთია დაცული, მათ შორის ბევრია უნიკალური. დღეს მუზეუმში მრავალი მიმართულების კვლევას აწარმოებენ მისი თანამშრომლები. ისინი ატარებენ კონფერენციებს, საღამოებს, აწყობენ თემატურ გამოფენებს. ისინი ეძიებენ ჩვენი რაიონის არაერთ გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებს და ღვაწლს, რომელიც მიუძღვით მათ ქვეყნისა და ერის წინაშე. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ივანე გომელაური, XIX-XX საუკუნეებში პედაგოგიური სფეროს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დიდი იაკობ გოგებაშვილის იდეების გამზიარებელი და დამნერგავი. ივანე გომელაურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო კვლევითი ნამუშევარი წარმოადგინა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა* დალი ბაღაშვილმა, *რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

თქვენ მრავალს გულში შთანერგეთ
უკვდავი გრძნობა გმირისა,
კეთილშობილი აზრები
ხალხისთვის თავგანწირვისა.
თქვენ სწორედ დაიმსახურეთ,
მხცოვან ოსტატის სახელი,
ბევრი მოეცით ქვეყანას
თავდადებული ქართველი.

მოსწავლეთა ჯგუფი

ასე აფასებდნენ ივანე გომელაურის პედაგოგიურ მოღვაწეობას მის მიერ უდიდესი ენერგიით, სიყვარულით და გულისხმიერებით აღზრდილი მოსწავლეები. ამ სიტყვებში გადაუჭარბებლად არის გადმოცემული მისი მრავალწლიანი პედაგოგიური შრომის მნიშვნელობა განათლების დარგში.

ივანე გომელაური დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანში 1867 წლის 10 (22) სექტემბერს საშუალო შეძლების აზნაურის ოჯახში. დაწყებითი განათლების მისაღებად მშობლებმა იგი მეზობელ სოფელ ზემო მაჩხაანში გააგზავნეს, სადაც მღვდელ სიმონ ბენაშვილს „სკოლა ჰქონდა გამართული“ და მისი დიაკვანი ეწეოდა „პედაგოგიურ მოღვაწეობას“. პატარა ვანოს სათუთი ბუნება ვერ შეეგუა ამ სკოლაში გამეფებულ სქოლასტიკურ წესს (სქოლასტიკა-ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი ცოდნა, უსაგნო მსჯელობა) და პირველ დღესვე, როდესაც დიაკვანმა ბავშვებს ქაღალდის პატარ-პატარა ნაჭრები დაურიგა, რომელზეც ქართული ანბანი იყო დაწერილი და გასცა მრისხანე განკარგულება-„ხვალისათვის ისწავლეთო“-დატოვა ეს სკოლა. არ გასულა დიდი ხანი და თვით სოფელ მირზაანში გაიხსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი, სადაც შეიყვანეს სწავლასმოწყურებული ბავშვი. ამ სკოლაში მისი მასწავლებელი იყო საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებული, საუკეთესო პედაგოგი მიხეილ გავაშელი, რომელმაც შეაყვარა მოსწავლეებს ქართული ენა და მშობლიური ქვეყანა.



1879 წელს ივანე გომელაური სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში შედის, რომლის ინსპექტორი იყო ალექსანდრე ჯავახიშვილი (აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მამა). ივანე გომელაური სასწავლებლის პირველი განყოფილების მოსწავლედ მიიღეს, იგი კარგად სწავლობდა, მას ხშირად აჯილდოვებდნენ წიგნებით და ქების სიგელებით.

სასწავლებლის დასრულების შედეგ ივანე გომელაური ჩაირიცხა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში, მასწავლებელთაგან მხოლოდ ერთი იყო ქართველი - ნიკო ცისკარიშვილი. ინსტიტუტში სასტიკი რეჟიმი იყო დამყარებული, სწავლა ოთხ წელს გრძელდებოდა. როგორც წარჩინებული მოსწავლე ივანე გომელაური სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობდა ინსტიტუტის პანსიონში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაიგზავნა ოზურგეთის საქალაქო სკოლის მასწავლებლის თანაშემწედ. მას ჩააბარეს პირველი განყოფილება (სკოლა იყო სამკლასიანი, ექვსი განყოფილებით). ასწავლიდა ყველა საგანს: ქართულ ენას, რუსულ ენას, ანგარიშს, ბუნებას, ხელოვნებას, ქართულ ენაში სახელმღვანელოდ ი.გოგებაშვილის „დედა ენას“ იყენებდა, ხოლო რუსულ ენაში, თუმცა აიძულებდნენ ვ.ლევიცკის სახელმძღვანელოთი ემუშავა, რომელიც ნატურალური („მუნჯური“) მეთოდის საფუძველზე იყო შედგენილი, მაინც გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოთი“ ასწავლიდა.

ოზურგეთში ჩასვლისთანავე ივანე გომელაურმა განიზრახა ქართული სამოყვარულო თეატრის შექმნა. ქალთა სკოლის დარბაზში მოაწყო მუდმივმოქმედი სცენა, რომლისთვისაც ფარდა ცნობილ არტისტს მძინაროვს გამოართვა, შეკრიბა ადგილობრივი სცენისმოყვარულთა აქტივი და შეუდგა ქართული წარმოდგენების გამართვას. თეატრალური წარმოდგენები იმდენად პოპულარული გახდა, რომ 1895 წლის გაზეთ „ივერიის“ ნომერი იუწყებოდა,რომ „ოზურგეთის სცენისმოყვარულთა დასმა წარმოადგინა ყიფიანის პიესა „ახირებული“,სადაც ყველამ თავიანთი როლი მწყობრად ჩაატარა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია ბ-ნმა გომელაურმა, რომელმაც აკაკი აკაკიევიჩის როლი მშვენივრად და კომიკურად შეასრულაო“.

ივანე გომელაური პედაგოგიური მუშაობის დაწყებისთანავე შეუდგა ბრძოლას ქართული ენის უფლების აღგენისათვის. იგი ქართულად ებაასებოდა მოსწავლეებს, ურჩევდა მათ ქართული წიგნების კითხვას და საკუთარი ბიბლიოთეკიდან აძლევდა წასაკითხად ქართველი მწერლების თხზულებებს.

1895 წელს შეადგინა და გამოსცა საბავშვო ლექსთა კრებული „საჩუქარი“, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვთა ზნეობრივი აღზრდისათვის ხელის შეწყობას.

1899 წელს ივანე გომელაური მუშაობას იწყებს ქართველ კათოლიკეთა ორკლასიან სკოლაში. აქ იგი გაეცნო და დაუახლოვდა ზაქარია ფალიაშვილს, რომელიც ამ სკოლაში გალობას ასწავლიდა. ივანე გომელაური დიდად აფასებდა ზ.ფალიაშვილის მუსიკალურ ნიჭს. მან, როგორც იაკობ გოგებაშვილთან დაახლოებულმა პირმა,დიდი როლი შეასრულა ზაქარია ფალიაშვილისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენაში, უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად.

კათოლიკურ სკოლაში დიდხანს არ უმუშავია მას. თავის მემუარულ ნაშრომში „ჩემი თავგადასავალი და მოგონებები“ იგი წერს: „თუმცა აქაც სრული თავისუფლება მქონდა სწავლების საქმეში, რასაც ყოველთვის ვაფასებდი, მაგრამ, მაინც კმაყოფილი არ ვიყავი, რადგანაც სკოლას საკმლის სუნი ასდიოდა“.

1902 წლიდან ივანე გომელაური სოფ. წინამძღვრიანთკარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში გადავიდა. ეს სასწავლებელი იმ ხანებში ერთადერთი სკოლა იყო საქართველოში, სადაც ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ სკოლისათვის მასწავლებლებს საგანგებოდ არჩევდა სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი. ივანე გომელაურის კანდიდატურაც იაკობ გოგებაშვილის მიერ იყო შერჩეული.

ივანე გომელაურის მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის სურათი სრული არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ იმ ფასდაუდებელ სამსახურს, რომელიც მან ქართულ ენასა და ლიტერატურას გაუწია სახელმძღვანელოს „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლების“ შედგენით.

ეს სახელმძღვანელო მან ჯერ კოლეგა-მასწავლებლებს, შემდეგ კი - იაკობ გოგებაშვილს გააცნო. იაკობ გოგებაშვილმა სახელმძღვანელოს დაბეჭდვისთვის საჭირო ქაღალდი გამოუძებნა ავტორს და წიგნის ბეჭდვაც დაიწყო.

თავის სახელმძღვანელოში ივანე გომელაურმა შეიტანა ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, შიო არაგვისპირელის, ეკატერინე გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის რჩეული მოთხრობები და ლექსები, რომლებიც იმდროინდელ სახელმძღვანელოებში ჩვეულებრივად ნაკლებად იყო წარმოდგენილი, შემდეგში კი თავისი ქრესტომათია გაამდიდრა თანამედროვე ახალგაზრდა პოეტების გალაქტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის ლექსებით.

„ქართველი მწერლები“, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო, სისტემატიურად იბეჭდებოდა 1919 წლიდან და თითქმის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობას მშობლიური ლიტერატურის გაცნობა-შესწავლის საქმეში.1925 წელს ივანე გომელაურმა შეადგინა და გამოსცა „ქართული ენის თვითმასწავლებელი“ არაქართველი ბავშვებისთვის, ამავე წელს გამოვიდა მისი „ქრესტომათია არაქართველთათვის“. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ივანე გომელაური სამეცნიერო კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. ჟურნალ „განათლების“ სხვადასხვა ნომრებში დაიბეჭდა ნარკვევები: „პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში“, „ანდაზების მნიშვნელობა ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში“, „პედაგოგიური აზრები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში“.

აღსანიშნავია ივანე გომელაურის დამსახურება თარგმანის დარგშიც. მან რუსულიდან თარგმნა ანტონ ჩეხოვის და ვლადიმერ კოროლენკოს მოთხრობები, გოეთეს და ჰაუპტმანის ნოველები. ივანე გომელაური ხელოვანი პედაგოგი იყო. იგი ებრძოდა ე.წ. პედაგოგიურ შტამპს. მისი გაკვეთილები შინაარსით მდიდარი და ფორმით მიმზიდველი იყო. ბუნებრივად არ აკლდა პედაგოგისათვის საჭირო არტისტულობა. თავის მოგონებებში იგი წერს: „ბევრი კარგი და ცუდი გაკვეთილი მიმიცია, ალბათ, ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მაგრამ ყველაზე კარგად მე ის გაკვეთილი მიმაჩნია, რომელიც მივეცი ოზურგეთის დაწყებითი სკოლის მეხუთე კლასში. ეს იყო ჩემს მიერ ახსნილი ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ უკანასკნელი თავები. სულგანაბული მისმენდნენ მოწაფეები, სასაცილო ადგილების მოთხრობის დროს მეცა და ისინიც ერთად ვიცინოდით, ამ სიმხიარულემ უმაღლეს წერტილს მიაღწია მაშინ, როდესაც მე წარმოვადგინე ლუარსაბ თათქარიძის „ლხინი“, მის მიერ კახეთის ქება, მთვრალი კაცის ბოდვა... (აქ გამომადგა ჩემი სამსახიობო გამოცდილება) გათავდა მოთხრობა, წავიკითხე ეპილოგიც და ყველას სახე შეეცვალა, ჩაფიქრდა, სერიოზულობა დაეტყო... ახსნა რომ გავათავე, მოწაფეები მხიარული და აღტაცებული გამოვიდნენ კლასიდან... მეც მათთან ერთად“. 1935 წელს სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი მოღვაწეობისთვის ივანე გომელაურს მიენიჭა შრომის გმირის წოდება, ხოლო 1944 წელს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. ივანე გომელაურმა სამუდამოდ დაიმკვიდრა სახელი მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სახალხო განათლების დარგში.




***

**ივანე გომელაური გარდაიცვალა 1951 წელს 84 წლის ასაკში. მას, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, არ დავიწყებია მშობლიური ქიზიყი და საყვარელი სოფელი მირზაანი. ხშირად სტუმრობდა ოჯახს, განათლებისაკენ მოუწოდებდა ახალგაზრდობას. გამორჩეულად უყვარდა სტუმრობა მოსახელე ბიძასთან-ივანე გომელაურთან, მეგობრობდა ბიძაშვილ ნინასთან. სწორედ უმცროსი ივანე იყო ხიდი ამ ოჯახსა და ქართულ ინტელიგენციასთან. უფროსი ივანე გომელაური საკმაოდ შეძლებული ადამიანი გახლდათ. სწორედ მისი წყალობით ამოისუნთქა ქართულმა თეატრმა მე-19 საუკუნის ბოლოს, რომელსაც ძალიან უჭირდა. ეს ამბავი კი ასე მოხდა: იმდროისათვის ცნობილ მსახიობს და საზოგადო მოღვაწეს ვალერიან გუნიას ცოლი არ ჰყავდა, გადაწყდა, მისთვის ივანე გომელაურის ბიაშვილი ნინა გომელაური შეერთოთ ცოლად. ამ საქმის დიდი გულშემატკივარი თავად ილია ჭავჭავაძე ყოფილა. და უთამადია კიდეც საქორწინო სუფრაზე. 1898 წელს ვალერიანი დაქორწინდა მირზაანელ ივანე გომელაურის ქალიშვილზე, დაქორწინებისას ვალერიან გუნიას და ნინა გომელაურის მამას- ივანეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მზითვის ნახევარი თეატრალური საზოგადოების საკუთრებაში უნდა გადასულიყო. მზითევი კი საკმაოდ მდიდრული ყოფილა. ვალერიანმა მიიღო სახლები თბილისში, მიწები ქიზიყში და დიდი ფული ოქროთი. ვალერიანიც არაფერს ზოგავდა და გომელაურების ქონებას საზოგადო საქმეს ახმარდა: გამოსცა თეატრალური გაზეთები, დააფინანსა სტუდენტები და სხვა მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა.**

**ეს ამბავი დაწვრილებით მოთხრობილი აქვს ქიზიყის ერთ-ერთ გამოჩენილ შვილს, ქვემომაჩხაანელ სიკო ფაშალიშვილს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს თავის მოგონებებში. ასე რომ, მირზაანელმა გომელაურებმა თავისი სიტყვა თქვეს მათი ეპოქის საქართველოს საგანმანათლებლო- სამეცენატო საქმის განვითარებაში. ამიტომაც ჩვენი, დედოფლისწყაროს ერთ-ერთ ქუჩას, განმანათლისა და პედაგოგის ივანე (უმცროსი) გომელაურის სახელი ეწოდება. ეს დაფასებაა იმ დიდი ღვაწლისა, რაც მან ქართულ განათლებას დასდო.**

მოამზადა
ნაირა გორაშვილმა

# რატომ უჭირთ ბავშვებს მათემატიკის შესწავლა?

მათემატიკა ბევრი მოსწავლის ერთ-ერთი სუსტი წერტილია. არადა ყველა მშობელს სურს, ამ საგანში მისი შვილი ძლიერი იყოს. რატომ უჭირთ ბავშვებს მათემატიკის შესწავლა, როგორ უნდა დავაინტერესოთ ბავშვი ამ საგნით და როგორ უნდა შეუწყოს ხელი მშობელმა, რომ მათემატიკის შესწავლა სასურველი ხარისხით მოხდეს? ამ და მათემატიკასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებზე მათემატიკოსი, მათემატიკის ოლიმპიადა „ევერესტის“ დამფუძნებელი დაჩი ნანობაშვილი ინტერვიუს.

**- რატომ უჭირთ ბავშვებს მათემატიკის შესწავლა, როგორ უნდა დავაინტერესოთ ბავშვი ამ საგნით**

- ბავშვებს აუჩქარებლად და ზომიერად უნდა მივაწოდოთ შესასწავლი მასალა. მშობლებს მოსწონთ, როდესაც მათი შვილები ასაკისთვის შეუფერებელ დავალებებს აკეთებენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ტიპის დავალებებმა შესაძლებელია დააფრთხოს ბავშვი, გაუჩინოს განცდა, რომ მათემატიკა რთული საგანია და მისი შესწავლა გაუჭირდება. ხშირად მშობელი ბავშვის თანდასწრებით ამბობს, რომ მის შვილს მათემატიკა არ უყვარს და არ გამოსდის. ამ სამწუხარო ფაქტს კი “ამართლებს” იმით, რომ არც მას გამოსდიოდა მათემატიკის შესწავლა. ეს უდიდესი შეცდომაა, რომელსაც ბევრი მშობელი უშვებს. ბავშვები უნდა წავახალისოთ (თუნდაც მხოლოდ სიტყვიერად) თითოეული სწორად ამოხსნილი ამოცანისთვის. აღნიშნული წარმატებები კი გავახსენოთ მათ როდესაც გარკვეულ პრობლემებს წააწყდებიან. სასკოლო მათემატიკის შესწავლისთვის სულაც არ არის საჭირო განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭი, საკმარისია ფეხდაფეხ მივყვეთ პროგრამას. უმიზეზოდ არ გავაცდინოთ სკოლა, ხოლო გაცდენის შემთხვევაში, შევეცადოთ, არ ჩამოვრჩეთ კლასს. მათემატიკის შესწავლისას ხომ ძალზედ მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობა და გონების მუდმივი გავარჯიშება.

**- ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე როგორ უნდა შეუწყოს მშობელმა ხელი ბავშვს, რომ მათემატიკის ნიჭი განუვითაროს?**

- ნიჭის განვითარება, ალბათ, არ ხდება. ყველა ბავშვი თავისებურად ნიჭიერია და მის ნიჭს, უბრალოდ, ხელშეწყობა სჭირდება. მათემატიკა მხოლოდ რიცხვები და მოქმედების ნიშნები როდია. უნდა შევეცადოთ, პატარებს ადრეული ასაკიდანვე შევაყვაროთ ფიქრი და აზროვნება. მივაჩვიოთ ბავშვებისთვის შესაფერისი ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს. სწორედ ამიტომ მათემატიკური ოლიმპიადა “ევერესტი” თანამშრომლობას იწყებს ჟურნალ “საბავშვო კარუსელთან”. მოხარული ვარ, რომ ჩემს მიერ ოლიმპიადისთვის შედგენილი ამოცანები, რომლებიც დიდი ხანია წიგნების სახით იბეჭდება, მალე საბავშვო ჟურნალშიც გამოჩნდება.

საერთოდ, თამაშის სახით მიწოდებული ამოცანები აამაღლებს ბავშვის ცნობიერებას, განუვითარებს შემეცნებით და შემოქმედებით უნარებს, მიაჩვევს ფიქრს და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. სკოლისათვის მზადება ნამდვილად მნიშვნელოვანი ეტაპია. სწორად შერჩეული ბაღი, გამოცდილი პედაგოგებითა და ასაკისთვის შესაფერისი პროგრამით, სკოლაში წარმატების წინაპირობაა. არასწორად მიმაჩნია სკოლაში შესვლამდე სახლის პირობებში ბავშვებისთვის რიცხვების წერისა და ანგარიშის სწავლება. ბავშვები ხშირად სიხარულითა და სიამაყით ამბობენ, რომ ასს მიმატებული ასი ორასია, მაგრამ წარმოდგნა არ აქვთ, რამდენია 100. მნიშვნელოვანია, სკოლამდელ ბავშვებს ჩამოუყალიბდეთ თუნდაც 5-ის ფარგლებში რაოდენობის აღქმა. შესწავლა უნდა მოხდეს თამაშითა და ხალისით. სკოლაში შესვლამდეც და შემდგომაც უმნიშვნელოვანესია ბავშვებს გამოსდიოდეთ და შესაბამისად უყვარდეთ ის, რასაც აკეთებენ.

**- თქვენ მათემატიკური ოლიმპიადა “ევერესტის” დამფუძნებელი ხართ. მოგვიყევით ოლიმპიადის დაარსების შესახებ. რას აძლევს ბავშვს ოლიმპიადა და რა არის თქვენი ოლიმპიადის მთავარი უპირატესობები?**

- სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დავიწყე. მე-3 კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც პირველ კლასში მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი. თავიდანვე ვცდილობდი, ბავშვებისთვის შემეყვარებინა მათემატიკა. მათში გამეჩინა ამ საგნის სწავლის სურვილი და მოტივაცია. საკლასო აქტივობისას ხშირად ვიყენებდი შეჯიბრის პრინციპს. ეს ძალიან მოსწონდათ ბავშვებ და მეტ ინტერესს იჩენდნენ. მოგვიანებით საკლასო აქტივობებმა შიდასასკოლო კონკურსის სახე მიიღო, რამაც, მოსწავლეებსა და მშობლებში მეტი ინტერესი გააჩინა. დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, 2009 წელს ჩემს მოსწავლეებთან ერთად (მე-8 და მე-9 კლასელებთან ერთად) თბილისის მასშტაბით ოლიმპიადა “ევერესტის” პირველი სეზონი ჩავატარეთ. სიახლე იმდენად საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა, რომ წლიდან წლამდე ოლიმპიადაში მონაწილეთა რაოდენობა საუცხოო სისწრაფით იზრდებოდა. სამ-ოთხ წელიწადში კი არაერთი ორგანიზაცია შეიქმნა, რომლებმაც მსგავსი კონკურსების ჩატარება დაიწყეს. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ “ევერესტს” დანარჩენი ოლიმპიადებისგან გამოარჩევს არა მხოლოდ “ასაკი”,პრიზები (მათ შორის ექსკლუზიურად “ევერსტისთვის შექმნილი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები”), მასწავლებლის კონკურსი და სხვა, არამედ მიზანი. ჩემი მიზანი არ ყოფილა და არც არასდროს იქნება შემოსავალი. ჩვენი უმთავრესი მიზანია, თითოეულმა მონაწილემ თითოეული ტურის შემდეგ გაიღრმაოს ცოდნა და მიიღოს გამოცდილება. ამიტომ მიზნის მისაღწევად ამოცანებს განსაკუთრებული სიფრთხილით ვადგენ. მათი შედგენისას ვითვალისწინებ, ყველა გრიფირებულ წიგნს, რომლითაც სწავლობენ მოსწავლეები, ასევე ბავშვების ასაკობრივ შესაძლებლობებს. ამ უკანასკნელში ძალიან მეხმარება ჩემი პედაგოგიური გამოცდილება. მე დღესაც ვასწავლი სკოლაში დაწყებითი კლასის მოსწავლეებს.



წლების განმავლობაში ბავშვების შედეგებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ პატარები ხშირად ჩქარობენ, ამოცანის პირობას ხელმეორედ არ კითხულობენ და უშვებენ ელემენტარულ შეცდომებს. ამიტომ შევიმუშავეთ ამოცანების აქამდე არარსებული ფორმატი, რამაც ბავშვები მეტად დაკვირვებული გახადა. აღნიშნულმა ფორმატმა ბავშვების, მშობლების და მათემატიკის პედაგოგების დიდი მოწონება დაიმსახურა.

**- აღიარებული შეხედულებით, მათემატიკაში ბიჭები გოგონებზე ძლიერები არიან და უფრო წარმატებულებიც ამ საგანში. თქვენი გამოცდილებით, რამდენად მართალია ეს?**

- ოლიმპიადა “ევერესტში” ბიჭების წარმატება გოგონებთან შედარებით ნამდვილად იგრძნობა, თუმცა ხშირად, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, საპრიზო ადგილს გოგონები იკავებენ.

**- როცა ბავშვი უკეთეს შეფასებებს იღებს გაკვეთილზე, ოლიმპიადაზე კი ვერ ავლენს ამ ცოდნას, ეს რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

- სავარაუდოდ საგამოცდო დაძაბულობა, გამოუცდელობა, ასაკისთვის დამახასიათებელი სიჩქარე და დაუკვირვებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში მშობლები ზედმეტად მომთხოვნები არიან პატარების მიმართ, რაც მოქმედებს ბავშვებზე და შესაძლოა ესეც იყოს “წარუმატებლობის” მიზეზი.

**- წლებთან ერთად თუ აკვირდებით ბავშვების საერთო დონეს, სიძლიერეს და რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

- რათქმაუნდა ვაკვირდებით. ჩვენ ასევე ვსწავლობთ ბავშვების შედეგებს, ვაანალიზებთ და პროცენტულად ვითვლით თითოეული ამოცანის თითოეულ დაფიქსირებულ პასუხს. ვაკვირდებით თითოეული ბავშვის შედეგების დინამიკას. ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ თითოეული სეზონისთვის ბავშვების საერთო დონე იზრდება, რასაც მოწმობს ფინალში გამსვლელი ქულის ზრდა (ფინალში გამსვლელი ქულა წინასწარ ცნობილი არ არის. ფინალისტები შეირჩევიან რეიტინგის წესით). ვფიქრობ, ბავშვების ცოდნის დონის ამაღლებას იწვევს მათი მზადების პროცესი ოლიმპიადისთვის. თითქმის ყველა მონაწილეს აქვს ჩვენი ამოცანების არაერთი კრებული. ჩვენს მიერ გამოკითხული მონაწილეების უმრავლესობა ამბობს, რომ სხვა კონკურსებისგან განსხვავებით “ევერესტისთვის” გასაკუთრებულად ემზადებიან. წლების განმავლობაში დამკვიდრდა აზრი, რომ “ევერესტში” მიღებული სიგელი საამაყო და ძალზედ სასურველია. აღნიშნული ფაქტი ჩვენს გუნდს ძალიან ახარებს და დამატებით ძალას სძენს თითოეული ახალი სეზონისათვის მზადებისას.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# COP26 - რა არის ის და რატომაა ის ჩვენთვის მნიშვნელოვანი?

***დღეს კაცობრიობა უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. მსოფლიო ვითარდება, გვესმის ამბიციური, დაუჯერებელი და გიჟური იდეები, რომლებიც რიგ შემთხვევაში, სხვა პლანეტაზე ახალი ცივილიზაციის დაფუძნებას მოიაზრებს. მიუხედავად ამისა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც ცხადად ვხედავთ ადამიანის დაუდევარი ქმედებების შედეგებს, ყველასთვის უფრო ცხადია, რომ ერთი პლანეტა გვაქვს და მას გაფრთხილება სჭირდება. ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს კაცობრიობა დგას, კლიმატის ცვლილებაა.***

### რა არის COP?

COP - მხარეთა კონფერენციის მოკლე სახელია. ესაა ყოველწლიური სამიტი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით 197 ქვეყანას აერთიანებს. კონფერენცია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომას, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია კლიმატური ცვლილებების მოსაგვარებლად და წარმოქმნილი პრობლემების დასაძლევად. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ და რეგიონმა, რათა შეიზღუდოს ადამიანის საქმიანობის მავნე ზემოქმედება კლიმატზე. 1994 წლის 21 მარტის შემდეგ, რაც ხელშეკრულება ამოქმედდა, 26-ე ასეთი კონფერენცია იყო სწორედ გლაზგოში, შოტლანდიის უდიდეს ქალაქში ჩატარებული სამიტი, რომელიც 1-12 ნოემბერს გაიმართა.

### რამდენად მნიშვნელოვანია COP26?

COP26 პირველი სამიტი აღმოჩნდა, რომელმაც მიმოიხილა ის, თუ რა პროგრესს მიაღწია, ან ვერ მიაღწია მსოფლიომ 2015 წელს პარიზის კლიმატის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. პარიზის კლიმატის შეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, კაცობრიობის სამოქმედო გეგმაა კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების თავიდან ასაცილებლად (ასევე ცნობილია როგორც პარიზის შეთანხმება). მასში ნათქვამია: **„გლობალური დათბობა ნიშნავს იმას, რომ თუკი ტემპერატურა ინდუსტრიულ პერიოდში 1.5 გრადუსით მოიმატებს, დედამიწაზე მიმდინარე უამრავი უარყოფითი ცვლილება უკვე ველარ შეჩერდება“.** COP შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოძრაობა, რომელშიც ყველა ერთად განიხილავს სტრატეგიას და უზრუნველყოფს, რომ ყველამ განაგრძოს თავისი საქმის სწორად შესრულება. პარიზის კლიმატის შეთანხმების ყველა ხელმომწერმა მიიღო შემდეგი პირობა:

**1. სათბურის გაზების რაოდენობის შემცირება;**

**2. განახლებადი ენერგიის წარმოების დაჩქარება;**

**3. გლობალური დათბობის შენარჩუნების მცდელობა ორ გრადუს ცელსიუსზე დაბლა და მისი შეზღუდვა ერთნახევარ ცელსიუსამდე;**

**4. ფინანსურად დახმარება ღარიბეს ქვეყნებს, რათა გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილების შედეგებს;**

ამ შეთანხმებით გადაწყდა, რომ ხუთ წელიწადში ერთხელ გადაიხედოს მუშაობაში მიღწეული პროგრესი. პირველი ასეთი მიმოხილვა დაგეგმილი იყო 2020 წლისთვის, მაგრამ პანდემიის გამო განხილვა გადაიდო 2021 წლამდე.

COP26-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი განვითარებადი ქვეყნების დახმარება იყო, რაც წინა წლებში საკმარისად ვერ მოხერხდა.2021 წლის ნოემბერში გლაზგოში ჩატარებულმა გაეროს კლიმატის ცვლილების მხარეთა რიგით 26-ე კონფერენციამ (COP26) 10,000-მდე ადამიანი გააერთიანა. 2015 წელს ჩატარებული კონფერენციის შემდეგ, რომლის მნიშვნელოვანი შედეგი პარიზის შეთანხმება გახდა, ეს ყველაზე მასშტაბური შეხვედრა იყო. კლიმატის სამიტს ბოლო სამი დეკადაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელმძღვანელობს. COP26-ის შეხვედრას სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები, ექსპერტები, აქტივისტები და სხვები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მიზანი საერთო ძალისხმევით საერთაშორისო რეგულაციების შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა, ასევე, შესაბამისი საერთაშორისო ნორმების შექმნა იყო, რომლებიც კლიმატთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული ქმედებების მთავარი ამოსავალი წერტილი იმ განვითარებადი ქვეყნების დახმარებაა, რომლებიც კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. სწორედ ამიტომ გაერთიანდნენ ქვეყნები COP-26-ის კონფერენციაზე.

მხარეთა 26-ე კონფერენციის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით რიგი გადაწყვეტილებები მიიღეს. უმნიშვნელოვანეს შედეგად ჩაითვალა ის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები მხარეთა წინა კონფერენციებმა ვერ მიიღეს, რითიც ქვეყნების მიერ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების დროული განხორციელება ფერხდებოდა. ასევე, განვითარებული ქვეყნების (აშშ, შვეიცარია, ევროკავშირის ქვეყნები) მიერ კლიმატის ცვლილების მიმართულებით დაფინანსების გაზრდის შესახებ ინფორმაცია გაჟღერდა, კერძოდ, ხაზი გაესვა კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის დაფინანსების გაორმაგებას.

### რა შეცვალა ეპიდემიამ?

ეპიდემიამ უზარმაზარი გამოწვევა შეუქმნა სამიტს ერთი წლით გახანგრძლივებით. კოვიდმა, მეორეს მხრივ, გააჩინა უპრეცედენტო შესაძლებლობა გადაიხედოს პოსტ-ეპიდემიურ ეკონომიკური აღდგენა. პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უპირველესი პრიორიტეტი მიანიჭა ეკოლოგიურად სუფთა პოლიტიკას, კორონავირუსის შემდეგ ამერიკის ეკონომიკის აღორძინების გეგმაში. მისმა წინამორბედმა გადაწყვიტა პარიზის შეთანხმებიდან გასვლა, მაგრამ ბაიდენმა ეს გადაწყვეტილება შეცვალა. მსოფლიო პოლიტიკოსების შეხვედრა COP26 - ში, სავარაუდოდ, დაისახავს გრძელვადიან მიზნებს კლიმატის ცვლილების პრობლემის გადასაჭრელად. ეს მიზნები ასევე ამბიური და სათავგადასავლო იქნება.

### რა შეიძლება ჩაითვალოს COP26-ის ძირითად მიღწევად?

კონფერენციის მთავარ მიღწევად ითვლება გლაზგოს კლიმატის პაქტი/Glasgow Climate Pact-ამბიციური, ზოგადი გადაწყვეტილებების ნაკრები, რამაც პარიზის შეთანხმების მიზნების განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს. დოკუმენტში მოცემული ძირითადი მიმართულებებია:

*სამეცნიერო მიგნებებისა და დასკვნების გათვალისწინება (მაგალითად, კლიმატის ცვლილების შესახებ მთავრობათშორისი პანელის (IPCC) კვლევების მნიშვნელობა);

*ადაპტაცია და ადაპტაციის დაფინანსება, რაც გულისხმობს უკვე შეცვლილ კლიმატთან ქვეყნების ადაპტირების უნარის გაძლიერებას მოწყვლადობის შემცირების გზით, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის გაორმაგებული ფინანსური რესურსის მიღების შესაძლებლობას;

*მიტიგაცია/შერბილება, რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების შემცირებას ქვეყნების მიერ;

*ამბიციურობა, რაც მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების პარიზის შეთანხმების 1,5-გრადუსიანი მიზნის მიღწევას. იმ ქვეყნებს, რომელთაც ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წილის (NDC) დოკუმენტში ეს ამბიციური მიზანი განსაზღვრული არ აქვთ, 2022 წელს უფრო ამბიციური NDC-ის თავიდან წარდგენა ევალებათ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1,5-გრადუსიანი მიზნის მიღწევა განსაზღვრული აქვს NDC-ში. კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის ისტორიაში პირველად, დოკუმენტში ქვანახშირის მოხმარების ამოღებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (phase out fossil fuels) ჩაიწერა, თუმცა ინდოეთისა და ჩინეთის ზეწოლის შედეგად, ჩანაწერი შერბილდა და „ამოღება“ „მოხმარების ეტაპობრივი შემცირებით“ (phase down) ჩანაცვლდა,

*ფინანსები, ტექნოლოგიების გადაცემა და შესაძლებლობების გაზრდა, განხორციელება, თანამშრომლობა.

### რა შედეგი გამოიღო ამ შეხვედრამ და რამდენად მნიშვნელოვანია ეს შედეგი საქართველოსთვის?

საქართველოსთვის COP26 იყო ორმაგად მნიშვნელოვანი და პროდუქტიული. გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი მოლაპარაკებებისა, საქართველოს დელეგაცია, აქტიურად იყო ჩართული მოლაპარაკებების პროცესში, კერძოდ კი, საქართველოს მიერ წარდგენილი ინიციატივის, სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის (equitable geographical representation) ფარგლებში, კონვენციის პრეზიდენტის ოფისთან მოლაპარაკებები გაიმართა, რომლებზეც მხარეთა კონფერენციის დასრულებისას პრეზიდენტმა, ალოკ შარმამ ანგარიში წამოადგინა და განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი სისტემურად უნდა გადაწყდეს, რათა კონვენციის მმართველ ორგანოებში, გეოგრაფიული განაწილების საკითხის პრობლემა სამომავლოდ აღარ დადგეს და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს კონვენციის მექანიზმების ჩამოყალიბებასა და საკითხების მართვაში მონაწილეობის ისეთი შესაძლებლობა ჰქონდეს, როგორც სხვა რეგიონებს. დამატებით, პრეზიდენტმა კონვენციის სამდივნოს დაავალა, მოამზადოს ანგარიში, თუ რა გავლენა აქვს რეგიონის შეზღუდულ წარმომადგენლობას კონვენციის მმართველ ორგანოებზე. ანგარიში რეგიონების თავმჯდომარეებთან, 2022 წლის მაისში, კონვენციის დამხმარე ორგანოების შეხვედრაზე უნდა წარადგინონ. საპრეზიდენტო კონსულტაციების პარალელურად, საქართველო ჩართული იყო ზემოაღნიშნული ორგანოების მოლაპარაკებებში სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის მოთხოვნით. საქართველოს დელეგაციამ კონვენციის ტექნოლოგიური მექანიზმის – კლიმატის ტექნოლოგიების ცენტრის და ქსელის (CTCN) მმართველი საბჭოს, ასევე, კონვენციის ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის (Consultative Group of Experts) მმართველი საბჭოს სტრუქტურების შეცვლა შეძლო. შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის წარმომადგენელ განვითარებად ქვეყნებს აღნიშული მექანიზმების მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ. დამატებით, მოლაპარაკებების შედეგად, ტექნოლოგიების განხორციელების კომიტეტის (Technology Executive Committee) გადაწყვეტილებაში ჩაიწერა, რომ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს მის მართვის მექანიზმზე თანაბარი წვდომა არ აქვს და აღნიშული საკითხი უახლოეს მომავალში უნდა დარეგულირდეს.

საქართველო, როგორც კონვენციის მომლაპარაკებელი გარემოს ინტეგრირებული ჯგუფის წევრი, გლაზგოს კლიმატის პაქტის შერბილების ამბიციის ნაწილს ხელმძღვანელობდა. დამატებით, მოლაპარაკებების მიმართულებით, საქართველო მონაწილეობდა შემდეგი საკითხების განხილვაში: ტექნოლოგიების გადაცემა; პარიზის შეთანხმების მე-6 მუხლით გათვალისწინებული სავაჭრო მექანიზმი; გამჭვირვალობის ჩარჩო; ვარშავის საერთაშორისო მექანიზმი; კლიმატის ფინანსები და ფინანსური მექანიზმები. მხარეთა 26-ე კონფერენციის ფარგლებში, საქართველო ასევე შეუერთდა შემდეგ მნიშვნელოვან ინიციატივებს:

- მაღალი ამბიციის კოალიცია;
- გლობალური მეთანის პირობა;
- სოფლის მეურნეობის ინოვაციების მისია კლიმატისთვის (AIM4C);
- ტყისა და მიწათსარგებლობის დეკლარაცია.

ტემპერატურა ყოველ ათწლეულში დაახლოებით 0.2 – 0.25 გრადუსით იზრდება, რაც გვაძლევს მხოლოდ რამდენიმე წელიწადს, რომ დავიცვათ ჩვენი გარემო უარყოფითი ზემოქმედებისგან. COP26 აღმოჩნდა უკიდურესად მნიშვნელოვანი მომენტი გამოწვევების, გეგმებისა და მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის. აშკარაა, რომ საჭიროა უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ ხმამაღალი დაპირებებია. ჩვენთვის არ არსებობს სხვა ალტერნატიული პლანეტა!




**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# თბილისის 22-ე საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა

5 დეკემბერს კინოხელოვნების ცენტრმა „პრომეთემ“ კინოთეატრ ამირანში (მერაბ კოსტავას ქუჩა №36) უმასპინძლა თბილისის 22-ე საერთაშორისო კინოფესტივალს.

გახსნის ცერემონიალზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: ფესტივალის პროგრამის კოორდინატორებმა ანა ჭყონიამ, გურამ ღონღაძემ, კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ, ფესტივალის დირექტორმა ნინა ანჯაფარიძემ. მათ მადლობა გადაუხადეს ფესტივალის მცირერიცხოვან გუნდს, ყველა მხარდამჭერ სპონსორს, კინომოყვარულებს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ამ დღეს.

ქართული ფილმების რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! შესაბამისად, წლევანდელი ეროვნული კონკურსი მასშტაბური იქნება: საერთაშორისო ჟიური სამი ნომინაციისათვის 9 სრულმეტრაჟიან, 9 დოკუმენტურსა და 18 მოკლემეტრაჟიან და ანიმაციურ ფილმს შეაფასებს. თითოეული ფილმი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან ხედვის კუთხით, ჟანრით, სტილისტიკითა და სტრუქტურით. ეკრანზე ნაჩვენები იქნა ვიდეოკოლაჟი ზემოთ დასახელებული ფილმებიდან, ხოლო თბილისის 22-ე საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა მსოფლიო პრემიერით, ქართული სრულმეტრაჟიანი







ფილმით „მეოთხე ბრაიტონი“, რომელიც 2021 წლის ივნისში ნიუ-იორკში, ტრაიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. ფილმის რეჟისორი გახლავთ ლევან კოღუაშვილი. ფილმში მთავარ როლს ასრულებს ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი და კახეთის ყოფილი გუბერნატორი ლევან თედიაშვილი. ასევე მონაწილეობენ მსახიობები: კახი კავსაძე, რომლისთვის ბოლო როლი აღმოჩნდა და ეს ფილმი მის ხსოვნას მიეძღვნა, გიორგი ტაბიძე, ირაკლი კავსაძე, გიორგი ყიფშიძე, ლაურა რეხვიაშვილი, ცუცა კაპანაძე და სხვები.

პრემიერის შემდეგ საუკეთესო სცენარისა და საუკეთესო მამაკაცის მსახიობის ნომინაციაში მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა ლევან თედიაშვილი, რომელსაც ეს ჯილდო გადასცა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორმა ნინა ანჯაფარიძემ. ფესტივალი დაიხურაა 12 დეკემბერს და გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებში.

## „ბედის ძალა“ – la forza del destino

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა პრემიერა ჯუზეპე ვერდის ოპერის „ბედის ძალა“.

მსოფლიო პრემიერა კი სანქტ-პეტერბურგში „ბოლშოი კამენნი“ ოპერის თეატრში 1962 წლის 10 ნოემბერს შედგა. პირველი შესრულება საქართველოში კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში (საზაფხულო თეატრი) 1877-1878 წლების თეატრალურ სეზონზე.

პრემიერაზე მთავარი პარტიები შეასრულეს გიორგი გოდერძიშვილმა, მაყვალა ასპანიძემ, სულხან გველესიანმა, კონსტატინე ყიფიანმა, მანანა იორდანაშვილმა, ირინა მარაზადიშვილმა და სხვა. მათ შესანიშნავად გაართვეს თავი თავიანთ როლს. თითოეული მათგანი გამოირჩეოდა უმაღლესი პროფესიონალიზმით. მათი საოცარი, ულამაზესი ხმები მსოფლიოს ნებისმიერ სცენას დაამშვენებს. გამორჩეული იყო ასევე ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი. ორკესტრი და საბალეტო დასი. რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის უნიჭიერეს




დირიჟორს ზაზა აზმაიფარაშვილს და სამხატვრო ხელმძღვანელს ბადრი მაისაურაძეს.

პრემიერის დასრულების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ სპეციალურად პრემიერაზე ჩამოსულ დედოფლისწყაროელებს.

ნიკოლოზ ბენიაიძე, **ფერმერი, შპს შირაქის დამფუძნებელი, საქართველოს მერძევეთა ასოციაციის თავჯდომარე:** „ჩვენი საოპერო შემოქმედება მდიდარია საშემსრულებლო ტალანტებით, მაგრამ რისი მოწმენიც აქ გავხდით, მართლაც გასაოცარია, უმაღლესი მსოფლიო კლასის ხელოვნება გამოამჟღავნეს უმშვენიერესმა სოპრანომ მაყვალა ასპანიძემ და ტენორმა კონსტატინე ყიფიანმა“.

ინგა შიოლაშვილი, **გაზეთ „შირაქის“ დირექტორი:** მაყვალა ასპანიძე დღესდღეობით უმაღლესი კლასის დრამატული სოპრანოა, ეს არის მომღერალი, რომლის ღვთაებრივი ხმა აღმაფრთოვანებს მსმენელს“.

მარინა ხარაშვილი, **მიკროპედიატრი:** „უდიდესი სიამოვნება მომანიჭა სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებულმა უვერტიურამ და ფინალში დიდი მაესტროს ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით“.

თამილა ნადირაშვილი, **ხელოვნების სკოლის პედაგოგი:** „მაყვალა ასპანიძის ხმამ სრულიად მომუსხა და მომაჯადოვა, იგი საოპერო ხელოვნების სამკაულია. არასდროს დამავიწყდება მაყვალა ასპანიძის და კონსტატინე ყიფიანის ფინალური სცენა. სპექტაკლს უდიდეს ხიბლს მატებდა სტეფანო პოდას სცენოგრაფია, კოსტიუმების სილამაზე და დიდი მაესტროს ზაზა აზმაიფარაშვილის მაღალი საორკესტრო აზროვნება და მასშტაბურობა“.

ნანა ჭიჭინაძე

## ყურადღება!

**გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად საახალწლო კალენდარს.**

თუ გსურთ თქვენი ბავშვის ფერადი ფოტო განთავსდეს 2022 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინოთ ის 23 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში, ფიროსმანის ქუჩა №18 ან დაგვიკავშირდით ნომრებზე: 591 092 472; 591 092 477;

**შეგახსენებთ!**

კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება, მაგრამ თუ ერთ ფოტოში ორი ან მეტი ბავშვი იქნება 20 ლარი.

**იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია!!!**



## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 13.12 | | სამშაბათი 14.12 | | ოთხშაბათი 15.12 | | ხუთშაბათი 16.12 | | პარასკევი 17.12 | | შაბათი 18.12 | | კვირა 19.12 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 6 ° | 1 ° | 6° | -2° | 9 ° | -1° | 10 ° | -1 ° | 9 ° | -1 ° | 6 ° | -1 ° | 5 ° | -3 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.